უპირატესობა ვერ გამოიყენეს

25 ივლისს მოსკოვის “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე შედგა 1947 წლის სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ გასული წლის ჩემპიონი “ცდკა” და თბილისის “დინამო”.

თბილისის “დინამო” ამ მატჩზე შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა: ს. ჯეჯელავას მაგიერ თამაშობდა რ. მახარაძე, ბ. პაიჭაძე კი შესცვალა გ. ბოგატელომ. პირველი ტაიმი თანაბარი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მოსკოველებმა მაინც შესძლეს ერთი ბურთის გატანა.

თამაშის მეორე ნახევარში ინიციატივა მთლიანად თბილისელთა ხელში იყო. დინამოელები გამუდმებით უტევდნენ “ცდკას” კარს, მაგრამ როდესაც დადგებოდა გადამწყვეტი მომენტი და საჭირო იყო ანგარიშის გასახსნელად კარში ზუსტი დარტყმა, ისინი ამას ვერ ახერხებდნენ, ბურთი ხან მეკარე ნიკანოროვს უვარდებოდა ხელში, ხან კიდევ მოწინააღმდეგის კარს უვლიდა გვერდს. მატჩის დასასრულს თბილისელთა იერიში იმდენად ძლიერი იყო, რომ მოსკოველები იძულებული გახდნენ მთლიანად გადასულიყვნენ თავდაცვაზე, რათა მოწინააღმდეგისათვის არ მიეცათ ანგარიშის გახსნის საშუალება. მათ ამას კიდეც მიაღწიეს და მატჩი დამთავრდა მოსკოვის “ცდკას” გამარჯვებით, ანგარიშით 1:0.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 26 ივლისი, 1947 წ.